დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზი

საანგარიშო პერიოდი: 2021 და 2022 წლები

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზი

საანგარიშო პერიოდი: 2021 და 2022 წლები

წინამდებარე ანგარიში
მომზადებულია ევროპის საბჭოს
პროექტის „თანასწორობის
დაცვისა და დისკრიმინაციის
დაუშვებლობის ეფექტური
მექანიზმების ხელშეწყობა
საქართველოში“ ფარგლებში.
დოკუმენტში გამოხატული
მოსაზრებები არ ასახავს ევროპის
საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

6 შესავალი

9 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის ანალიზი

15 საქართველოს პროკურატურის სტატისტიკის ანალიზი

26 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის ანალიზი

38 შეჯამება

შესავალი

საქართველოს 2020 წლამდე არ გააჩნდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია.

2020 წლის 23 სექტემბერს ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ (შემდგომში მემორანდუმი), რომლის საფუძველზეც ყოველი წლის 1 მარტს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე ქვეყნდება წინა საანგარიშო წლის მონაცემები.

მემორანდუმი მოიცავს დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი **დანაშაულის კლასიფიკაციას**, რომლის თანახმად შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული აერთიანებს სამ კატეგორიას:

- **დანაშაულები, რომელთა ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია შეუწყნარებლობა, როგორც დანაშაულის მოტივი.**
- **დანაშაულები, რომელთა ქმედების მაკვალიფიცირებელი ელემენტია შეუწყნარებლობა, როგორც დანაშაულის მოტივი.**
- **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (შემდგომში-სსკ) გათვალისწინებული ნებისმიერი ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისას პირი მოქმედებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.**

სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისკრიმინაციის ნიშნებია: რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერი, გენდერული იდენტობა, ასაკი, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, შეზღუდული შესაძლებლობა, მოქალაქეობა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილება, წარმოშობა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი და დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშანი.

ამასთან, მემორანდუმის მიზნებისათვის, რასის ნიშნის ქვეშ მოიაზრება რასა, კანის ფერი, ენა, მოქალაქეობა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილება და წარმოშობა.

სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მემორანდუმის მიზნებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელია **ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მო-**

1. მემორანდუმი – https://www.geostat.ge/media/36779/diskriminaciis-nishnit_2020_IV.pdf;

ნიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების გამოყენებით.

- **შიდა კონტროლის მექანიზმი გულისხმობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ყოველდღიურ რეჟიმში, გამოძიების ხარისხის მონიტორინგს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობითა და კომუნიკაციის სხვა გზებით.**

- **გარე კონტროლის მექანიზმი გულისხმობს კონკრეტული საქმეების შესახებ ინფორმაციის მიღებას გარე წყაროებისგან (მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატი და სხვ.), როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი სისხლის სამართლის საქმეში შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის იდენტიფიცირებას ახდენს გამოძიების საწყის ეტაპზე, მემორანდუმით გათვალისწინებული კონკრეტული ინდიკატორების საფუძველზე. სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც იკვეთება სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, გამოქვეყნების მიზნით აღირიცხება სტატისტიკის ერთიან ანგარიშში.

საქართველოს პროკურატურაში მემორანდუმის მიზნებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელია **საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი**. დეპარტამენტი მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით, სტატისტიკურ ინფორმაციას აერთიანებს, ამუშავებს და აანალიზებს შემდეგი წყაროების მეშვეობით:

საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 17 მარტის N50-გ ბრძანების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურის ორგანოები და სტრუქტურული დანაყოფები საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს უგზავნიან ინფორმაციას მემორანდუმით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, არდაწყების, შეწყვეტის, განრიდების ან/და დაზარალებულად ცნობის შესახებ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე, ანალიტიკური სამმართველო სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ამუშავებს და დეპარტამენტს აწვდის ინფორმაციას მემორანდუმით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, არდაწყების, განრიდებისა და დაზარალებულად ცნობის შესახებ.

ამასთან, მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად, მემორანდუმის მონაწილე მხარეები, გარდა საქსტატისა, წელიწადში ორჯერ, არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის ბოლო რიცხვისა (31 ივლისის და 31 იანვრისა), ერთმანეთს უცვლიან საანგარიშო პერიოდში მემორანდუმის დანართით განსაზღვრული მონაცემების საწარმოებლად საჭირო ინფორმაციას.

რაც შეეხება, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, პროკურორი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს არა მხოლოდ ინდიკატორების, არამედ გამოძიების შედეგად მოპოვებული დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი მტკიცებულებების, მათ შორის, დისკრიმინაციული მოტივის დამადასტუ-

რებელი კონკრეტული მტკიცებულებების საფუძველზე. შესაბამისად, საგამოძიებო უწყების მიერ შეუწყნარებლობის მოტივით იდენტიფიცირებულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა არ ემთხვევა სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების სტატისტიკის სექტორი არის სასამართლო სისტემაში სტატისტიკის ოფიციალური მწარმოებელი რგოლი, რომელიც იღებს, აერთიანებს, ამუშავებს და აანალიზებს საერთო სასამართლოების ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს. შესაბამისად, მემორანდუმის მიზნებისათვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებელია საქართველოს უზენაესი სასამართლო. მემორანდუმით გათვალისწინებული ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის წარმოებისათვის სასამართლო წარადგენს მონაცემებს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიხედვით.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შემდგომ, პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესული და განხილული სისხლის სამართლის საქმეების აღრიცხვის მოქმედ სტატისტიკურ ბარათებს დაემატა სპეციალური პუნქტები შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, მუშავდება მემორანდუმის დანართით განსაზღვრული მაჩვენებლები.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს მემორანდუმის თანახმად გამოქვეყნებული **2021 და 2022 წლების**[2] დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშების **ანალიზის დოკუმენტს**.

ანალიზის შემაჯამებელი მონაცემები:

2021-2022 საანგარიშო წლების სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე გაზრდილია როგორც გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლოს მიერ განხილული საქმეებისა და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობის მაჩვენებლები.

ცხრილი №1.

უწყებრივი ინფორმაცია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
დაწყებული გამოძიება – საქმე	1703	1802	+ 5,8%
დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა – პირი	834	1172	+ 40,5%
სასამართლოს მიერ განხილული საქმეების რაოდენობა – საქმე	463	805	+ 73,7%
მსჯავრდებული პირების რაოდენობა – პირი	321	585	+ 82,2%

2. 2021-2022 წლების ერთიანი ანგარიშები https://www.geostat.ge/ka/modules/categories/680/diskriminatsiis-nishnit-sheutsqnarebloblis-motivit-chadenili-danashaulis-statistika;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის ანალიზი

მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია

მემორანდუმის თანახმად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის, აღნიშნული დანაშაულების ტერიტორიული განფენილობის დაჯგუფება ხორციელდება საქართველოს რეგიონული დაყოფის პრინციპის საფუძველზე, შემდეგნაირად:

- **ქ. თბილისი;**
- **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა;**
- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;**
- **კახეთი;**
- **შიდა ქართლი;**
- **ქვემო ქართლი;**
- **იმერეთი;**
- **გურია;**
- **სამეგრელო და ზემო სვანეთი;**
- **სამცხე-ჯავახეთი;**
- **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი;**
- **მცხეთა-მთიანეთი.**

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების, აგრეთვე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის“ ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეები, სპეციფიკიდან გამომდინარე, სტატისტიკურ მონაცემებში წარმოდგენილია საქართველოს რეგიონული დაყოფის პრინციპის დაცვის გარეშე.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისთვის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აღრიცხავს სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებულ გამოძიებათა რაოდენობას. იგულისხმება ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც პირველადი შესწავლით, იკვეთება შეუწყნარებლობის მოტივის ინდიკატორი/ინდიკატორები, კერძოდ:

- **(სავარაუდო) დაზარალებულის აღქმა;**
- **(სავარაუდო) დაზარალებულის კუთვნილება უმცირესობის ჯგუფისადმი ან/და ასოცირება ამგვარ ჯგუფთან;**

- **მოწმის აღქმა;**
- **(სავარაუდო) ბრალდებულის აღქმა;**
- **შემთხვევის ადგილზე გაკეთებული ნახატები, სიმბოლოები და წარწერები;**
- **(სავარაუდო) ბრალდებულსა და (სავარაუდო) დაზარალებულს შორის ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური და კულტურული განსხვავებები;**
- **(სავარაუდო) ბრალდებულის ორგანიზებული, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობა ან/და მასთან ასოცირება;**
- **დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო;**
- **დანაშაულის ჩადენის ხერხი და ხასიათი;**
- **(სავარაუდო) ბრალდებულის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულებისა და ინციდენტების ხასიათი და სიხშირე.**

აღნიშნული ერთეული აღირიცხება ტერიტორიული განფენილობის მიხედვითაც.

სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დაწყებული გამოძიების აღრიცხვა ხორციელდება დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით, პირველადი შესწავლის შედეგად იდენტიფიცირებული შეუწყნარებლობის მოტივის ინდიკატორ(ებ)იდან გამომდინარე.

ანალიზი:

2021-2022 საანგარიშო წლების სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დაწყებული გამოძიების საერთო რაოდენობა 5,8%-ით არის გაზრდილი. ყველაზე ხშირად აღნიშნული კატეგორიის დანაშაულზე გამოძიება იწყება თბილისის, აჭარის და იმერეთის ტერიტორიულ ერთეულებში.

2022 წელს 2021 წელთან შედარებით გაზრდილია გამოძიების დაწყების რაოდენობა შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში: თბილისი – 14,5%-ით, კახეთი – 16,2%-ით, შიდა ქართლი – 36,6%-ით, ქვემო ქართლი – 5,8%-ით, სამცხე-ჯავახეთი – 34,1%-ით, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 2-ჯერ, მცხეთა-მთიანეთი – 54,2%-ით, საპატრულო პოლიცია – 22,1%-ით.

ცალკეულ შემთხვევებში კი შეიმჩნევა კლების მაჩვენებელი, კერძოდ: აჭარა – 3,9%-ით; იმერეთი – 1,2%-ით; გურია – 22,9%-ით; სამეგრელო და ზემო სვანეთი – 56,9%-ით.

ცხრილი №2.

ტერიტორიული განფენილობა (საქმე)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**1703**	**1802**	**+ 5,8%**
თბილისი	520	595	+ 14,5%
აფხაზეთი	1	...	...
აჭარა	285	274	- 3,9%
კახეთი	80	93	+ 16,2%
შიდა ქართლი	41	56	+ 36,6%
ქვემო ქართლი	206	218	+ 5,8%
იმერეთი	246	243	- 1,2%
გურია	74	57	- 22,9%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	72	31	- 56,9%
სამცხე-ჯავახეთი	41	55	+ 34,1%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	10	+ 1,5-ჯერ
მცხეთა-მთიანეთი	24	37	+ 54,2%
საპატრულო პოლიცია	109	133	+ 22,1%
ცკპდ[3]	...	...	...
სასაზღვრო პოლიცია	...	...	...

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი;

სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2022 წელს 2021 წელთან შედარებით 5,8%-ით გაიზარდა გამოძიების დაწყების მაჩვენებელი. ამასთან, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს გაზრდილია გამოძიების დაწყების მაჩვენებელი დისკრიმინაციის სხვადასხვა ნიშანთან მიმართებით, კერძოდ: გენდერი – 13,3%-ით, ასაკი – 3-ჯერ.

მოცემული სტატისტიკური მონაცემების შეფასების საფუძველზე, იკვეთება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამოკვეთის მონაცემების ზრდის ტენდენცია.

ცხრილი №3.

დისკრიმინაციის ნიშანი (საქმე)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**1703**	**1802**	**+ 5,8%**
გენდერი	1394	1579	+ 13,3%
გენდერული იდენტობა	48	38	- 20,9%
სექსუალური ორიენტაცია	58	36	- 38,1%
სქესი	...	2	...
ასაკი	1	3	+ 3-ჯერ
შეზღუდული შესაძლებლობა	18	10	- 44,5%
რასა	53	50	- 5,7%
რელიგია	19	6	- 68,4%
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	69	44	- 36,2%
სოციალური კუთვნილება	3	1	- 66,6%
საცხოვრებელი ადგილი	...	1	...
ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა	...	1	...
დისკრიმინაციის სხვა ნიშანი	38	13	- 65,8%
ეროვნული კუთვნილება/გენდერი	1	...	...

შეზღუდული შესაძლებლობა/გენდერი	1	...	...
რელიგია/რასა	...	1	...
გენდერი/რელიგია	...	1	...
გენდერი/გარეგნობა	...	1	...
სოციალური კუთვნილება/ქონებრივი მდგომარეობა	...	1	...
გენდერი/ასაკი	...	2	...
გენდერი/სექსუალური ორიენტაცია	...	2	...
გენდერი/რასა	...	5	...

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღრიცხული მონაცემების ანალიზით, სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ოჯახში ძალადობის (სსკ-ის 126[1] მუხლი), ძალადობისა (სსკ-ის 126-ე მუხლი) და ოჯახის წევრის მიმართ მუქარის (სსკ-ის 11[1] 151-ე მუხლი) სისხლის სამართლის საქმეებში.

ამასთან, 2022 წელს წინა საანგარიშო წელთან შედარებით 9,8%-ით გაიზარდა ოჯახში ძალადობის დანაშაულზე (სსკ-ის 126[1] მუხლი) გამოძიების დაწყების მაჩვენებელი, ძალადობაზე კი (სსკ-ის 126-ე მუხლი) 0,5%-ით. ყველაზე მაღალია ზრდის მაჩვენებელი ოჯახის წევრის მიმართ მუქარის ფაქტზე (სსკ-ის 11[1] 151-ე მუხლი) დაწყებულ გამოძიებასთან მიმართებით – 54,6%.

ცხრილი №4.

გამოძიების დაწყების მუხლი (საქმე)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**1703**	**1802**	**+ 5,8%**
126^1	658	722	+ 9,8%
126	220	221	+ 0,5%
11^1 -151	108	167	+ 54,6%
151	122	140	+ 14,8%
126^1; 11^1 – 151	73	106	+ 45,2%
სხვა დანარჩენი მუხლები	522	446	- 14,6%

საქართველოს პროკურატურის სტატისტიკის ანალიზი

მონაცემთა შეგროვება

მემორანდუმის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურატურა ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის აგროვებს სტატისტიკურ ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების/არდაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების შეწყვეტის, ასევე განრიდების შესახებ. ამასთან, ამუშავებს ინფორმაციას დაზარალებულ და ბრალდებულ პირებთან დაკავშირებით.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისთვის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე პროკურატურის მიერ აღსარიცხი ერთეულებია:

1. **სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება** – აღსარიცხი ერთეული – პირი.

   აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა (მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საერთო მონაცემს, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემს), ასევე ბრალდებულის სქესი (მამრობითი, მდედრობითი), ასაკობრივი კატეგორია (არასრულწლოვანი 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი – 18-დან ზევით) და ტერიტორიული განფენილობა.

   მათ შორის, აღირიცხება:

   ა) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობა პირთა მიხედვით;

   ბ) დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობა პირთა მიხედვით.

2. **განრიდება** – აღსარიცხი ერთეული – პირი.

   აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომლებიც განარიდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (მოიცავს განრიდებულ პირთა საერთო მონაცემს, მათ შორის საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში განრიდებულ პირთა მონაცემს), ასევე, სქესი (მამრობითი, მდედრობითი), ასაკობრივი კატეგორია (არასრულწლოვანი – 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი – 18-დან ზევით) და ტერიტორიული განფენილობა.

   მათ შორის, აღირიცხება:

   ა) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებულ პირთა რაოდენობა;

   ბ) დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებულ პირთა რაოდენობა.

3. **სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა** – აღსარიცხი ერთეული – პირი.

აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა (მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საერთო მონაცემს, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემს), ასევე, სქესი (მამრობითი, მდედრობითი) და ასაკობრივი კატეგორია (არასრულწლოვანი – 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი – 18-დან ზევით), ტერიტორიული განფენილობა.

მათ შორის, აღირიცხება:

ა) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის რაოდენობა პირთა მიხედვით;

ბ) დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის რაოდენობა პირთა მიხედვით.

4. **სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება** – აღსარიცხი ერთეული – პირი.

აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც პროკურორის დადგენილებით არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა (მოიცავს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების საერთო მონაცემს, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების მონაცემს), ასევე, სქესი (მამრობითი, მდედრობითი), ასაკობრივი კატეგორია (არასრულწლოვანი – 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი – 18-დან ზევით) და ტერიტორიული განფენილობა.

მათ შორის, აღირიცხება:

ა) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კონკრეტულ დანაშაულზე იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა;

ბ) დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

5. **გამოძიების შეწყვეტა** – აღსარიცხი ერთეული – საქმე.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის, საქართველოს პროკურატურა აღრიცხავს საანგარიშო პერიოდში სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების შეწყვეტას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგ – სსსკ) შესაბამისი მუხლის, საფუძვლისა და ტერიტორიული განფენილობის მიხედვით.

6. **დაზარალებული პირები** – აღსარიცხი ერთეული – პირი.

აღირიცხება პირთა რაოდენობა, რომლებიც საანგარიშო პერიოდში ცნობილ იქნენ დაზარალებულებად (მოიცავს დაზარალებულად ცნობილ პირთა საერთო მონაცემს, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებულ საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირთა მონაცემს), ასევე, დაზარალებულის სქესი (მამრობითი, მდედრობითი), ასაკობრივი კატეგორია (არასრულწლოვანი – 0-დან 18 წლამდე, ზრდასრული – 18-დან 60 წლამდე, ხანდაზმული – 60-დან ზევით), იურიდიული პირის შემთხვევაში დაზარალებულ იურიდიულ პირთა რაოდენობა, ტერიტორიული განფენილობა.

მათ შორის, აღირიცხება:

ა) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირთა რაოდენობა;

ბ) დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირთა რაოდენობა.

7. **სოციალური კავშირი**

აღირიცხება 1 – 4 პუნქტებში მითითებული პირების სოციალური კავშირი დაზარალებულთან.

ამასთან, საქართველოს პროკურატურა **ტერიტორიულ განფენილობას**, საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც წარმოდგენილი არ არის რაიონული/საოლქო პროკურატურა, ითვლის საქართველოს პროკურატურის ტერიტორიული ერთეულის მიხედვით.

ანალიზი:

2021-2022 საანგარიშო წლების სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საერთო რაოდენობა 40,5%-ით არის გაზრდილი.

სისხლისსამართლებრივი დევნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თბილისის, აჭარისა და ქვემო ქართლის ტერიტორიულ ერთეულებში, რომელიც საანგარიშო წლების მიხედვით ხასიათდება ზრდის ტენდენციით.

კონკრეტულად, 2022 წლის მონაცემების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი 2021 წელთან შედარებით გაზრდილია: თბილისი – 43,8%-ით, აჭარა – 51,7%-ით, კახეთი – 3-ჯერ, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი – 88,1%-ით, ქვემო ქართლი – 68,5%-ით, სამცხე-ჯავახეთი – 37,5%-ით.

ამასთან, გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულებში, 2022 წელს შეიმჩნევა კლების ტენდენცია, კერძოდ: დასავლეთ საქართველო – 5,1%-ით და სამეგრელო და ზემო სვანეთი – 23,8%-ით.

ცხრილი №5.

ტერიტორიული განფენილობა (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**834**	**1172**	**+ 40,5%**
თბილისი[4]	294	423	+ 43,8%
აფხაზეთი	...	...	...
აჭარა	118	179	+ 51,7%
კახეთი	22	65	+ 3-ჯერ
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	42	79	+ 88,1%
ქვემო ქართლი	114	192	+ 68,4%
დასავლეთ საქართველო	178	169	- 5,1%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	42	32	- 23,8%
სამცხე-ჯავახეთი	24	33	+ 37,5%

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება გენდერის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე.

2022 წელს 2021 წელთან შედარებით გაიზარდა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დისკრიმინაციის შემდეგი ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე: გენდერი – 47,1%-ით, სექსუალური ორიენტაცია – 3-ჯერ, შეზღუდული შესაძლებლობა – 14,3%-ით, რასა – 33,3%-ით, რელიგია – 33,3%-ით, დისკრიმინაციის სხვა ნიშანი – 20%-ით.

სტატისტიკური მონაცემების შეფასების საფუძველზე, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის გაზრდილი მაჩვენებელი უფრო მეტად უკავშირდება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივს.

4. თბილისში მოიაზრება ისეთი სისხლის სამართლის საქმის მონაცემიც, რომელზეც საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურა;

ცხრილი №6.

დისკრიმინაციის ნიშანი (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**834**	**1172**	**+ 40,5%**
გენდერი	724	1065	+ 47,1%
გენდერული იდენტობა	24	18	- 25%
სექსუალური ორიენტაცია	12	37	+ 3-ჯერ
სქესი	...	2	...
ასაკი	...	4	...
შეზღუდული შესაძლებლობა	7	8	+ 14,3%
რასა	9	12	+ 33,3%
რელიგია	3	2	+ 33,3%
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	10	3	- 70%
სოციალური კუთვნილება	1	...	...
საცხოვრებელი ადგილი	...	...	...
ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა	...	...	...
დისკრიმინაციის სხვა ნიშანი	5	6	+ 20%
სხვა შეხედულება	...	10	...
შეზღუდული შესაძლებლობა, გენდერი	2	1	- 50%
სექსუალური ორიენტაცია, გენდერი	2	...	...
რელიგია, გენდერი	2	...	...
რასა, გენდერი	2	2	...
სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა	31	...	...
სოციალური კუთვნილება, გენდერი	...	1	...
სოციალური კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა	...	1	...

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მონაცემების მიხედვით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი ყველაზე ხშირად იკვეთება ოჯახში ძალადობისა (სსკ-ის 126[1] მუხლი) და ძალადობის (სსკ-ის 126-ე მუხლი) სისხლის სამართლის საქმეებში, რომელთაც საანგარიშო წლების მიხედვით ახასიათებს ზრდის ტენდენციაც.

2022 წელს 2021 წელთან შედარებით გაზრდილია მონაცემები: სსკ-ის 126-ე მუხლი (ძალადობა) – 90,2%-ით, სსკ-ის 11[1] 151-ე მუხლი (ოჯახის წევრის მიმართ მუქარა) – 65,6%-ით, სსკ-ის 126[1] და 11[1] 151-ე მუხლები (ოჯახში ძალადობა, ოჯახის წევრის მიმართ მუქარა) – 65,1%-ით, სსკ-ის 126[1] მუხლი (ოჯახში ძალადობა) – 9,9%-ით.

ცხრილი №7.

კვალიფიკაცია (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**834**	**1172**	**+ 40,5%**
126[1]	242	266	+ 9,9%
126[1]-11[1] – 151	218	360	+ 65,1%
11[1] – 151	64	106	+ 65,6%
126	61	116	+ 90,2%
156	37	6	- 83,8%
სხვა დანარჩენი	212	318	+ 50%

სქესის მიხედვით ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უმეტეს შემთხვევაში იწყება კაცების მიმართ და ხასიათდება ზრდის ტენდენციით.

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, 37,4%-ით გაზრდილია ბრალდებულ კაცთა რაოდენობა, ხოლო ბრალდებულ ქალთა რაოდენობა გაზრდილია 4-ჯერ.

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, 5-ჯერ გაიზარდა 14-დან 18 წლამდე ბრალდებულ პირთა რაოდენობა, ხოლო 18 წელს ზევით ასაკის ბრალდებულთა რაოდენობა გაიზარდა 39,2%-ით.

დიაგრამა №1.

ბრალდებულ პირთა რაოდენობა (პირი)



დაზარალებულთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გაზრდილია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირების რაოდენობა და ძირითად შემთხვევაში, აღნიშნული დანაშაულის დაზარალებულები არიან 18-დან 60 წლამდე ასაკის ქალები.

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, 45,6%-ით გაზრდილია დაზარალებულად ცნობილი ქალების რაოდენობა, ასევე, 39,6%-ით გაზრდილია 18-დან 60 წლამდე პირთა დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელი. ამასთან, 22,8%-ით შემცირებულია დაზარალებულად ცნობილი კაცების რაოდენობა. ასაკობრივ ჭრილში კი, 18 წლამდე პირთა დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელი 13,3%-ით არის შემცირებული.

დიაგრამა №2.

დაზარალებულ პირთა რაოდენობა (პირი)



დაზარალებულად ცნობის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 34,9%-ით არის გაზრდილი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირების საერთო რაოდენობა. რაც შეეხება ტერიტორიულ განფენილობას, დაზარალებულად ცნობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თბილისის, დასავლეთ საქართველოს და ქვემო ქართლის ტერიტორიულ ერთეულებში.

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია: თბილისი – 28,2%-ით, აჭარა – 51,3%-ით, კახეთი – 3-ჯერ, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი – 2-ჯერ, ქვემო ქართლი – 54,1%-ით, სამცხე-ჯავახეთი – 47,8%-ით. ამასთან, შემცირებულია დაზარალებულად ცნობილი პირების რაოდენობა დასავლეთ საქართველოსა (2,2%-ით) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (34,1%-ით) ტერიტორიულ ერთეულებში.

ცხრილი №8.

დაზარალებული, ტერიტორიული განფენილობა (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**895**	**1208**	**+ 34,9%**
თბილისი[5]	348	446	+ 28,2%
აფხაზეთი	...	...	...
აჭარა	119	180	+ 51,3%
კახეთი	19	71	+ 3-ჯერ
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	35	78	+ 2-ჯერ
ქვემო ქართლი	124	191	+ 54,1%
დასავლეთ საქართველო	183	179	- 2,2%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	44	29	- 34,1%
სამცხე-ჯავახეთი	23	34	+ 47,8%

5. თბილისში მოიაზრება იმ სისხლის სამართლის საქმის მონაცემებიც, რომელზეც საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურა;

სტატისტიკის თანახმად, გაზრდილია დისკრიმინაციის ზოგიერთი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე დაზარალებულად ცნობის საერთო მაჩვენებელი. ძირითად შემთხვევაში პირთა დაზარალებულად ცნობა ხდება გენდერის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნებით შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე.

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, გაზრდილია დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელი დისკრიმინაციის შემდეგ ნიშნებთან მიმართებით: გენდერი – 45,6%-ით, სექსუალური ორიენტაცია – 52,4%-ით, შეზღუდული შესაძლებლობა – 50%-ით, რასა – 75%-ით, რელიგია – 4-ჯერ, რასა/გენდერი – 50%-ით, დისკრიმინაციის სხვა ნიშანი – 2-ჯერ.

ცხრილი №9.

დაზარალებული, დისკრიმინაციის ნიშანი (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**895**	**1208**	**+ 34,9%**
გენდერი	746	1086	+ 45,6%
გენდერული იდენტობა	26	20	- 23,1%
სექსუალური ორიენტაცია	21	32	+ 52,4%
სქესი	...	3	...
ასაკი	...	4	...
შეზღუდული შესაძლებლობა	6	9	+ 50%
რასა	8	14	+ 75%
რელიგია	3	12	+ 4-ჯერ
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	9	4	- 55,6%
სოციალური კუთვნილება	1	...	...
საცხოვრებელი ადგილი	...	...	...
ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა	...	...	...
დისკრიმინაციის სხვა ნიშანი	4	10	+ 1,5-ჯერ

სხვა შეხედულება	...	4	...
შეზღუდული შესაძლებლობა, გენდერი	2	1	- 50%
სექსუალური ორიენტაცია, გენდერი	2	...	...
რელიგია, გენდერი	2	...	...
რასა, გენდერი	2	3	+ 50%
რელიგია, რასა	...	1	...
სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა	63	...	...
სოციალური კუთვნილება, გენდერი	...	1	...
სოციალური კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა	...	4	...

სტატისტიკის თანახმად, გაზრდილია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახში ძალადობისა (სსკ-ის 126[1] მუხლი) და ძალადობის (სსკ-ის 126-ე მუხლი) დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელი, კერძოდ: სსკ-ის 126[1]-ე მუხლით (ოჯახში ძალადობა) – 14,5%ით, სსკ-ის 126[1], 11[1] 151-ე მუხლებით (ოჯახში ძალადობა, ოჯახის წევრის მიმართ მუქარა) – 64,1%-ით, სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) – 67,7%-ით.

ცხრილი №10.

დაზარალებული, კვალიფიკაცია (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**895**	**1208**	**+ 34,9%**
126[1]	248	284	+ 14,5%
126[1]-11[1] – 151	223	366	+ 64,1%
11[1] – 151	73	118	+ 61,7%
156	68	18	- 73,5%
126	65	109	+ 67,7%
სხვა დანარჩენი	212	318	+ 50%

საქართველოს პროკურატურის სტატისტიკის თანახმად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაული უმეტესად ჩადენილია ოჯახის წევრებს შორის, რაც საანგარიშო წლების მიხედვით ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ცხრილი №11.

ბრალდებულის სოციალური კავშირი დაზარალებულთან (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
მეუღლე	561	780	+ 39,1%
მშობელი	39	62	+ 58,9%
შვილი	15	32	+ 2-ჯერ
მეურვე	...	...	...
დამოკიდებული პირი	...	...	...
ოჯახის სხვა წევრი	51	79	+ 54,9%
ნაცნობი	74	83	+ 12,2%
უცნობი	82	119	+ 45,1%
ინტიმური პარტნიორი	43	109	+ 1,5-ჯერ

დიაგრამა №3. (2021) | დიაგრამა №4. (2022)

ბრალდებულის სოციალური კავშირი დაზარალებულთან (პირი)



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების, განრიდებისა და გამოძიების შეწყვეტის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, შემცირებულია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე განრიდების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების და გამოძიების შეწყვეტის მაჩვენებლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის ანალიზი

მონაცემთა შეგროვება

მემორანდუმის თანახმად, ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავების მიზნებისთვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო აწარმოებს სტატისტიკურ ინფორმაციას სავარაუდო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიხედვით საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში შესული და განხილული საქმეების, მსჯავრდებული პირებისა და სასჯელის სახეების, ასევე, სასამართლოების მიერ გამოტანილ განაჩენებში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების თაობაზე.

ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის მიზნებისთვის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე სასამართლოს მიერ აღირიცხება:

1. **სასამართლოებში შესული საქმეები:**

   აღირიცხება საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში შესული საქმეების რაოდენობა, სადაც პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულია, რომ დანაშაული ჩადენილია შეუწყნარებლობის მოტივით.

2. **განხილული სისხლის სამართლის საქმეები:**

   აღირიცხება საანგარიშო პერიოდში საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ სულ განხილული საქმეების, მათ შორის საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებული საქმეების რაოდენობა.

   განხილული საქმეების აღრიცხვა ხორციელდება რეგიონული დაყოფის მიხედვით.

   განხილულ საქმეებში გამოიყოფა:

   - განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობა (როგორც არსებითი განხილვით, ისე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე);
   - შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლისა და საფუძვლის მითითებით;
   - პროკურატურაში დაბრუნებული საქმეების რაოდენობა (განრიდების მიზნით, გაითხოვა პროკურორმა, უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე).

3. **გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენები:**

   აღირიცხება იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი (მოიცავს საანგარიშო პერიოდში სასამართლოების მიერ სულ გამოტანილი განაჩენების მიხედვით პირთა საერთო რაოდენობას, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებული საქმეების მიხედვით).

4. **მსჯავრდებულები:**

   აღირიცხება მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა სქესის (მდედრობითი, მამრობითი), ასაკის (არასრულწლოვანი – 14-დან 18 წლამდე, სრულწლოვანი – 18-დან ზევით), სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის მიხედვით, ასევე, მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის სოციალური კავშირი (მოიცავს სასამართლოების მიერ მსჯავრდებული პირების საერთო რაოდენობას, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში გამოძიებადაწყებული საქმეების მიხედვით მსჯავრდებული პირების რაოდენობას).

5. **შეფარდებული სასჯელის სახეები:**

   აღირიცხება მსჯავრდებული პირების მიმართ გამოყენებული სასჯელის სახეები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის მიხედვით.

6. **სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება:**

   აღირიცხება მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ გამოყენებულია სსკ-ის 53[1] მუხლის პირველი ნაწილი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. აღრიცხვა ხორციელდება შეუწყნარებლობის კონკრეტული ნიშნის, სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის, ასევე რეგიონული დაყოფის მიხედვით.

ანალიზი:

2021 და 2022 წლების მონაცემებით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გაზრდილია საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში როგორც შესული (42,8%-ით), ასევე განხილული (73,9%-ით) საქმეების რაოდენობა.

დიაგრამა №5.

სასამართლოებში შესული და განხილული საქმეების რაოდენობა



2021 წელთან შედარებით, 2022 წელს სასამართლოებში შესული საქმეების ზრდა ფიქსირდება თითქმის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით გამოირჩევა კახეთი – 2,5-ჯერ, მცხეთა-მთიანეთი – 2-ჯერ, შიდა ქართლი – 129,4%-ით, აჭარა – 76,3%-ით, თბილისი – 51,4%-ით და სხვა.

ამასთან, 2022 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შემავალ სასამართლოებში დაფიქსირდა აღნიშნული მაჩვენებლის კლება – 31,7%-ით.

ცხრილი №12.

სასამართლოებში შესული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (საქმე)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**719**	**1027**	**+ 42,8%**
თბილისი	245	371	+ 51,4%
აფხაზეთი	...	...	...
აჭარა	76	134	76,3%
გურია	24	25	+ 4,2%
იმერეთი	164	160	- 2,4%
კახეთი	16	50	+ 2,5-ჯერ
მცხეთა-მთიანეთი	10	30	+ 2-ჯერ
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	2	+ 100%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	41	28	- 31,7%
სამცხე-ჯავახეთი	20	24	+ 20%
ქვემო ქართლი	105	158	+ 50,5%
შიდა ქართლი	17	39	+ 129,4%

2022 წელს განხილული საქმეების რაოდენობის ზრდა ფიქსირდება ფაქტობრივად ყველა რეგიონში, გარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შემავალი სასამართლოებისა, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 12,1%-ით შემცირდა. ამასთან, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ყველაზე მეტი საქმის განხილვის მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისის საქალაქო სასამართლოს, იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში შემავალ სასამართლოებში.

ცხრილი №13.

განხილული სისხლის სამართლის საქმეები (საქმე)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**463**	**805**	**+ 73,9%**
თბილისი	165	289	+ 75,2%
აფხაზეთი	...	...	...
აჭარა	41	87	112%
გურია	11	18	+ 63,6%
იმერეთი	97	134	+ 38,1%
კახეთი	12	42	+ 2,5-ჯერ
მცხეთა-მთიანეთი	7	21	+ 2-ჯერ
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	...	...	...
სამეგრელო და ზემო სვანეთი	33	29	- 12,1%
სამცხე-ჯავახეთი	9	16	+ 77,8%
ქვემო ქართლი	70	138	+ 97,1%
შიდა ქართლი	18	31	+ 72,2%

2021 წელთან შედარებით, 2022 წელს სულ განხილული საქმეებიდან განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 75,9%-ით, ხოლო შეწყვეტილი საქმეების რაოდენობა – 7,1%-ით. განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების ზრდასთან ერთად, 2022 წელს 52,4%-ით არის გაზრდილი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის სასამართლოს მიერ გამართლებულ პირთა რაოდენობა, ხოლო 82,2%-ით – დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა.

დიაგრამა №6.

მსჯავრდებულ და გამართლებულ პირთა რაოდენობა (პირი)



მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ზრდასთან ერთად, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, 3-ჯერ გაიზარდა მსჯავრდებული ქალების, ხოლო – 80,2%-ით მსჯავრდებული კაცების რაოდენობა, ამასთან, 5-ჯერ გაიზარდა 14-დან 18 წლამდე ასაკის მსჯავრდებულთა, ხოლო 80,9%-ით 18 წელს ზევით ასაკის მსჯავრდებულთა რაოდენობა. შესაბამისად, გაზრდილია აღნიშნული დანაშაულების ჩადენისათვის მსჯავრდებულ ქალთა ხვედრითი წილი, რომელიც 2021 წელს 1%-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს 2,1% შეადგინა. 14-დან 18 წლამდე ასაკის მსჯავრდებულთა ხვედრითი წილი 2021 წელს 0,3%-ს შეადგენდა, ხოლო 2022 წელს 1 % შეადგინა.

დიაგრამა №7.

მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა (პირი)



სტატისტიკური მონაცემების თანახმად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის ყველაზე მეტი პირი მსჯავრდებულია ოჯახში ძალადობისა (სსკ-ის 126[1] მუხლი) და ძალადობის დანაშაულებისათვის (სსკ-ის 126-ე მუხლი). 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, სსკ-ის 126[1] მუხლით (ოჯახში ძალადობა) მსჯავრდებულთა რაოდენობა 52,6%-ით გაიზარდა, სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) მსჯავრდებულთა რაოდენობა – 1,3-ჯერ, ხოლო სსკ-ის 151-ე მუხლით (მუქარა) – 1,7-ჯერ.

ცხრილი №14.

მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**321**	**585**	**+ 82,2%**
126[1]	156	238	+ 52,6%
11[1] – 151	58	126	+ 1,2-ჯერ
126	21	48	1,3-ჯერ
151	15	40	1,7-ჯერ
151[1]	9	13	+ 44,4%
სხვა დანარჩენი	62	120	+ 93,5%

ძირითად შემთხვევაში მსჯავრდებულთა მიმართ სასამართლო სასჯელის სახით იყენებს თავისუფლების აღკვეთას ან პირობით მსჯავრს. უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისათვის მსჯავრდებულ პირებთან მიმართებით სასამართლოს მიერ გამოყენებულ სასჯელებში გაზრდილია თავისუფლების აღკვეთის და შემცირებულია პირობითი მსჯავრის გამოყენების ხვედრითი წილი: თავისუფლების აღკვეთა 2021 წელს შეეფარდა მსჯავრდებულთა 37,7%-ს, 2022 წელს შეეფარდა მსჯავრდებულთა 40,2%-ს. პირობითი მსჯავრი 2021 წელს შეეფარდა მსჯავრდებულთა 50,2%-ს, ხოლო 2022 წელს შეეფარდა მსჯავრდებულთა 44,6%-ს.

დიაგრამა №8.

შეფარდებული სასჯელის სახე (პირი)



სასამართლოების მიერ აღნიშნულ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირებში ჭარბობს იმ პირთა რაოდენობა და ხვედრითი წილი, რომელთაც დანაშაული ჩადენილი აქვთ გენდერის (2021 წელს სულ მსჯავრდებულთა 88,5%, 2022 წელს – 89,2%), გენდერული იდენტობის (2021 წელს – 3,4%, 2022 წელს – 2,1%), სექსუალური ორიენტაციის (2021 წელს – 2,2%, 2022 წელს – 3,1%), რასის (2021 წელს – 1,6%, 2022 წელს – 1,2%) და სხვა ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით.

შესაბამისად, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, მსჯავრდებულთა რაოდენობა გაზრდილია დისკრიმინაციის შემდეგ ნიშნებთან მიმართებით: გენდერი – 83,4%-ით, გენდერული იდენტობა – 9,1%-ით, სექსუალური ორიენტაცია – 1,6-ჯერ, შეზღუდული შესაძლებლობა – 3-ჯერ, რასა – 40%-ით, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა – 9-ჯერ.

ცხრილი №15.

მსჯავრდებულთა რაოდენობა დისკრიმინაციის ნიშნების მიხედვით (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**321**	**585**	**+ 82,2%**
გენდერი	284	522	+ 83,4%
გენდერული იდენტობა	11	12	+ 9,1%
სექსუალური ორიენტაცია	7	18	+ 1,6-ჯერ
სქესი	...	1	...
ასაკი	1	2	+ 100%
შეზღუდული შესაძლებლობა	1	4	+ 3-ჯერ
რასა	5	7	+ 40%
რელიგია	2	1	- 50%
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	4	3	- 25%
სოციალური კუთვნილება	...	...	...
წარმოშობა, საცხოვრებელი ადგილი	...	...	...
ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა	...	...	...
დისკრიმინაციის სხვა ნიშანი	4	3	- 25%
სექსუალური ორიენტაცია და გენდერი	2	...	...
სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა	1	10	+ 9-ჯერ
სოციალური კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა	...	1	...
გენდერი და სოციალური კუთვნილება	...	1	...

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები ძირითად შემთხვევაში არიან დაზარალებულის ოჯახის წევრები, კერძოდ: 2021 წელს შემთხვევათა 69,1%-ში მსჯავრდებული იყო მეუღლე, მშობელი – 2,4%, შვილი – 1,8%, ოჯახის სხვა წევრი – 4,8%. 2022 წელს: მეუღლე – 67,6%, მშობელი – 3,4% , შვილი – 1,8%, ოჯახის სხვა წევრი – 4,0%.

დიაგრამა №9. (2021) | დიაგრამა №10. (2022)

სოციალური კავშირები განაჩენების მიხედვით (პირი)



2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, 1,2-ჯერ გაზრდილია იმ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართ სასამართლოს მიერ, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება გამოყენებულია სსკ-ის 53[1] მუხლის პირველი ნაწილი. ძირითადად ზრდა აღინიშნება თბილისის – 78,8%, აჭარის – 6,5-ჯერ, გურიის – 3,7-ჯერ, ქვემო ქართლის – 3,4-ჯერ, კახეთის – 4,2-ჯერ და სხვა რეგიონების სასამართლოებში. აღნიშნული მაჩვენებლის კლება ფიქსირდება სამეგრელო-ზემო სვანეთის – 66,7%-ით და სამცხე-ჯავახეთის – 40%-ით სასამართლოებში.

ცხრილი №16.

მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართ გამოყენებულია სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილი რეგიონალურ ჭრილში (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**198**	**435**	**+ 1,2-ჯერ**
თბილისი	113	202	+ 78,8%
აფხაზეთი	...	...	...
აჭარა	4	30	+ 6,5-ჯერ
გურია	3	14	+ 3,7-ჯერ
იმერეთი	28	29	+ 3,6%
კახეთი	6	31	+ 4,2-ჯერ
მცხეთა-მთიანეთი	...	8	...
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	...	...	...
სამეგრელო და ზემო სვანეთი	3	1	- 66,7%
სამცხე-ჯავახეთი	5	3	- 40%
ქვემო ქართლი	22	97	+ 3,4-ჯერ
შიდა ქართლი	14	20	+ 42,9%

როგორც უკვე აღინიშნა, 2022 წელს გაზრდილია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სსკ-ის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების საერთო მაჩვენებელი და ეს ძირითადად დაკავშირებულია იმ მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდასთან, რომელთაც დანაშაული ჩადენილი აქვთ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. აღნიშნული მონაცემი იზრდება საანგარიშო წლების მიხედვით. ამასთან, 2022 წელს შემცირებულია იმ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს გენდერული იდენტობის – 10%-ით, რასის – 40%-ით, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების – 25%-ით და დისკრიმინაციის სხვა ნიშნით – 33,3%-ით შეუწყნარებლობის მოტივით. ასევე,

2022 წელს სსკ-ის 53[1] მუხლის გამოყენება არ დაფიქსირებულა ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და რელიგიის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისათვის მსჯავრდებულ პირებთან მიმართებით.

ცხრილი №17.

მსჯავრდებულთა მიმართ, სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება დისკრიმინაციის ნიშნის მიხედვით (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**198**	**435**	**+ 1,2-ჯერ**
გენდერი	164	399	+ 1,4-ჯერ
გენდერული იდენტობა	10	9	- 10%
სექსუალური ორიენტაცია	6	6	...
სქესი	...	1	...
ასაკი	1	...	...
შეზღუდული შესაძლებლობა	1	...	...
რასა	5	3	- 40%
რელიგია	2	...	...
პოლიტიკური ან სხვა შეხედულება	4	3	- 25%
სოციალური კუთვნილება	...	...	...
წარმოშობა, საცხოვრებელი ადგილი	...	...	...
ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობა	...	...	...
დისკრიმინაციის სხვა ნიშანი	3	2	- 33,3%
სექსუალური ორიენტაცია და გენდერი	1	...	...
სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა	1	10	+ 9-ჯერ
სოციალური კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა	...	1	...
გენდერი და სოციალური კუთვნილება	...	1	...

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სსკ-ის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება ძირითადად ხდება ოჯახში ძალადობის (სსკ-ის 126[1] მუხლი) – 2021 წელს 44,4%, 2022 წელს 42,5%; ოჯახის წევრის მიმართ მუქარის (სსკ-ის 11[1] 151-ე მუხლი) – 2021 წელს 18%, 2022 წელს 25,2%; მუქარის (სსკ-ის 151-ე მუხლი) – 2021 წელს 6,1%, 2022 წელს 5,7%; ძალადობის (სსკ-ის 126 მუხლი) – 2021 წელს 8,6%, 2022 წელს – 6%, დანაშაულებისათვის მსჯავრდებულ პირებთან მიმართებით, რომელთა რაოდენობა გაზრდილია 2021 წელთან შედარებით.

ცხრილი №18.

მსჯავრდებულთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის გამოყენება დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით (პირი)	2021 წ.	2022 წ.	პროცენტული ცვლილება + / –
სულ	**198**	**435**	**+ 1,2-ჯერ**
126[1]	88	185	+ 110%
11[1] – 151	36	110	+ 2,1-ჯერ
126	17	26	+ 52,9%
151	12	25	+ 108%
151[1]	6	9	+ 50%
სხვა დანარჩენი	39	80	+ 105%

შეჯამება

ანალიზის ძირითადი მიგნებები:

1. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უმეტეს შემთხვევაში იწყება **ოჯახური დანაშაულისთვის**, რაც შესაბამისად, იწვევს სწორედ აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის საქმეების ყველაზე დიდი რაოდენობით შესვლასა და განხილვას სასამართლოში;

2. ყველაზე მაღალია **გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე** გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი, რაც შესაბამისად, იწვევს სასამართლოს მიერ სწორედ დისკრიმინაციის ამ ნიშნით განხილული საქმეებისა და მსჯავრდებული პირების რაოდენობის მაღალ მაჩვენებელს;

3. ტერიტორიული განფენილობის მიხედვით, დისკრიმინაციისნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაღალი ხვედრითი წილი ძირითადად მოდის **თბილისზე**, **აჭარაზე**, **ქვემო ქართლსა** და **იმერეთზე**, რაც შესაბამისად, განაპირობებს მითითებული რეგიონების სასამართლოებში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საქმეთა შესვლისა და განხილვის მაღალ მაჩვენებლებს;

4. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირები უმეტეს შემთხვევაში არიან **18-დან 60 წლამდე ქალები**;

5. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული და შესაბამისად, შემდგომში უკვე მსჯავრდებული პირები უმეტეს შემთხვევაში არიან **სრულწლოვანი კაცები**;

6. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის ბრალდებული/მსჯავრდებული პირები ძირითად შემთხვევაში არიან **დაზარალებულის მეუღლეები;**



7. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება – **თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი.**